



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 156

2022 წლის 11 აგვისტო

ქ. თბილისი

„2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 2 აგვისტოს N146 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N894784, 11.08.2022) და ფონდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N894730, 11.08.2022წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 2 აგვისტოს N146 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი ერთის - კონკურსის პირობების:
ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კონკურსში მონაწილეობის უფლება ძირითადი პერსონალის სტატუსით არ აქვს პირს, რომელიც ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულია ფონდის მიერ გამოცხადებული და ადმინისტრირებული სამეცნიერო კვლევითი კონკურსის (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების(FR); გამოყენებითი სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების(AR); საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი (HE); ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსი (YS); შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის საგრანტო კონკურსი (STCU); სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის მხოლოდ სამეცნიერო კვლევითი პროექტები; უცხოელ თანამემამულეთა მონაწილეობით კვლევების საგრანტო კონკურსი (DI); კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (CS) პირველი ლოტი; გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსი (CARYS); საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი

სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (OTG) პირველი ლოტი; საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (BRG) პირველი ლოტი) შედეგად დაფინანსებულ, ჯამში ორზე მეტ პროექტში. ეს პირობა გულისხმობს, როგორც კონკურსში წარდგენილ, ასევე უკვე დაფინანსებულ მიმდინარე პროექტებში ჩართულობას.

ბ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კონკურსში მონაწილეობის უფლება პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით არ აქვს პირს, რომელიც ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულია ფონდის მიერ გამოცხადებული და ადმინისტრირებული სამეცნიერო კვლევითი კონკურსის (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების(FR); გამოყენებითი სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების(AR); საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი (HE); ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსი (YS); შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის საგრანტო კონკურსი (STCU); სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის მხოლოდ სამეცნიერო კვლევითი პროექტები; უცხოელ თანამემამულეთა მონაწილეობით კვლევების საგრანტო კონკურსი (DI); კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (CS) პირველი ლოტი; გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსი (CARYS); საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (OTG) პირველი ლოტი; საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (BRG) პირველი ლოტი) შედეგად დაფინანსებულ ერთზე მეტ სამეცნიერო კვლევით პროექტში. ეს პირობა გულისხმობს როგორც კონკურსში წარდგენილ, ასევე უკვე დაფინანსებულ მიმდინარე პროექტებში ჩართულობას.

გ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია - 2022 წლის 8 აგვისტოდან -16 სექტემბრის 16 საათამდე;“

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №64).

ერეკლე ასტახიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი